სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/176

ქ. თბილისი 28 ნოემბერი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 23-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 და მე-15 მუხლებისა და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-18 და მე-19 მუხლების შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, **აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაინიშნოს არჩევნები სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობის დასაკავებლად.
2. არჩევნების შესახებ განცხადება ბეჭდვითი მედიის ორგანოში გამოქვეყნდეს 2023 წლის 04 დეკემბერს.

3. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს განცხადება ბეჭდვითი მედიის ორგანოში გამოსაქვეყნებლად.

4. არჩევნებში მონაწილე კანდიდანტთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2023 წლის 11 დეკემბრიდან 2023 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით.

5. კანდიდანტთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2023 წლის 22 დეკემბერს.

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები აკადემიურ საბჭოში ჩატარდეს 2023 წლის 25 დეკემბერს.

7. აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული კანდიდატი წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს არჩევიდან არა უგვიანეს 4 დღისა.

8. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) აქვს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

გ) გააჩნია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

დ) არის 65 წელზე ნაკლები ასაკის.

9. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის(დიპლომის) ასლი;

გ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) სამოქმედო გეგმა;

ზ) 2 ფოტოსურათი,ზომით 3X4-ზე

თ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

10. განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისის სამდივნოში, თბილისი, კოსტავას, 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 233. განცხადებები მიიღება 10 საათიდან 17 საათამდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა.

11. უნივერსიტეტის წესდების თანახმად, აკადემიური საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით (2/3-ით), ფარული კენჭისყრით, ინდივიდუალურად წყვეტს 65 წლისა

და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების საკითხს. აღნიშნული ასაკის მქონე პირმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში დამატებით უნდა წარადგინოს აკადემიური საბჭოს თანხმობა. ამ საკითხზე აკადემიურ საბჭოს დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს განცხადებით 2023 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით, უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტის მეშვეობით (მის: კოსტავას, 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული). პირის დასწრება აკადემიურ საბჭოში მისი საკითხის განხილვისას სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული საკითხი არ განიხილება.

12. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

13. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**